# საკანონმდებლო სიახლეების ცნობარი

## (2021 წლის ოქტომბერი)

მოცემული ცნობარი შეეხება მნიშვნელოვან საკანონმდებლო ცვლილებებს, რომელიც განხორციელდა სხვადასხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებში 2021 წლის სექტემბრის თვეში.

### საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ბრძანება №24/04

2021 წლის 28 ოქტომბერს „საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის №24/04 ბრძანებაში შევიდა ცვლილება, კერძოდ:

„საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ ინსტრუქციის დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2011 წლის 7 აპრილის №24/04 ბრძანებით დამტკიცებულ საბანკო დაწესებულებებში ანგარიშების გახსნის შესახებ ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება და ინსტრუქციის:

1. მე-3 მუხლის $4^1$ პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„$4^1$. ამ ინსტრუქციის შესაბამისად პირის ანგარიშის გახსნა შეიძლება განხორციელდეს მინდობილობის საფუძველზე, ამავე ინსტრუქციის მე-10 მუხლის $8^1$ პუნქტის შესაბამისად.“.

2. მე-10 მუხლს დაემატა შემდეგი შინაარსის $8^1$ პუნქტი:

„$8^1$. ბანკს უფლება აქვს, ანგარიშის გასახსნელად წარდგენილი მინდობილობა მიიღოს როგორც მატერიალური ფორმით, ასევე ელექტრონული ფორმით და აღნიშნული მინდობილობის ვალიდურობა გადაამოწმოს ელექტრონულ სანოტარო რეესტრში.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 220090000.18.011.016598

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №257

2021 წლის 20 ოქტომბერს ცვლილებები განხორციელდა „საქართველოს საბაჟო ტერიტორიაზე საქონლის გადაადგილებისა და გაფორმების შესახებ ინსტრუქციების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2019 წლის 29 აგვისტოს №257 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციებში. კერძოდ: „საბაჟო კონტროლის შესახებ“ (დანართი №2) და „საქონლის საბაჟო პროცედურაში ან რეექსპორტში დეკლარიებისა და გაფორმების შესახებ“ (დანართი №8) ინსტრუქციებში განხორციელდა რიგი ცვლილებები.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017519

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

ამავე ბრძანებით 2021 წლის 29 ოქტომბერს რიგი ცვლილებები განხორციელდა „საბაჟო ზედამხედველობის შესახებ“ (დანართი №3) და „რეექსპორტის შესახებ“ (დანართი №16) ინსტრუქციებში.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 230210000.22.033.017522

ეს ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

## სახელმწიფო ინსპექტორის ბრძანება №11

2021 წლის 21 ოქტომბერს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხის დამტკიცების თაობის ბრძანებაში შევიდა ცვლილება, კერძოდ:



Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

პერსონალურ მონაცემთა სხვა სახელმწიფოსთვის გადაცემის მიზნებისათვის, ამ ბრძანების დანართის შესაბამისად დამტკიცდა იმ ქვეყნების ნუსხა, სადაც უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები.

ძალადაკარგულად გამოცხადდა „პერსონალურ მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიების მქონე ქვეყნების ნუსხის დამტკიცების თაობაზე“ პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის 2014 წლის 16 სექტემბრის №1 ბრძანება.

ამავე ბრძანებას თან ერთვის იმ ქვეყნების ნუსხა, სადაც უზრუნველყოფილია მონაცემთა დაცვის სათანადო გარანტიები.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010100000.72.084.016037

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე

## საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის ბრძანება N01-133/ნ

2021 წლის 12 ოქტომბერს „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურების წესის“ დამტკიცების თაობაზე საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2020 წლის 29 დეკემბრის N01-133/ნ ბრძანებით შეტანილ იქნა ცვლილება „ორსულობის, მშობიარობისა და ბავშვის მოვლის, ასევე ახალშობილის შვილად აყვანის გამო შვებულებების ანაზღაურების წესში“ და მე-9 მუხლის მე-12 პუნქტის შემდეგ დაემატა შემდეგი შინაარსის მე-13, მე-14 და მე-15 პუნქტები:

„13. ამ წესის მე-5 მუხლის მე-3 პუნტის გათვალისწინებით, სააგენტოს ცენტრალური აპარატის კონტროლისა და/ან ზედამხედველობის ფუნქციის მქონე სტრუქტურული ერთეული, პერიოდულად და შერჩევითი პრინციპით, ახორციელებს დასაქმებულისათვის დახმარების მიღების უზრუნველსაყოფად დამსაქმებლის მიერ სააგენტოს ტერიტორიულ ერთეულებში წარდგენილი დოკუმენტებით გათვალისწინებული ინფორმაციის დადარებას საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – შემოსავლების სამსახურის (საგადასახადო ორგანო) მიერ წარმოებულ მონაცემთა ელექტრონულ ბაზაში (ბაზებში) არსებულ ინფორმაციასთან.

14. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ – შემოსავლების სამსახურის (საგადასახადო ორგანო) მიერ წარმოებულ მონაცემთა



Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ელექტრონულ ბაზაზე (ბაზებზე) წვდომა ხორციელდება სააგენტოსა და საგადასახადო ორგანოს შორის არსებული შეთანხმების შესაბამისად.

15. ამ მუხლის მე-13 პუნქტით გათვალისწინებული ინფორმაციის დადარების პერიოდულობისა და შერჩევითი პრინციპით განხორციელების პირობები განისაზღვრება სააგენტოს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების დოკუმენტის ხილვა შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 470230000.22.035.016913

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

## საქართველოს ფინანსთა მინისტრის ბრძანება №996

2021 წლის 13 ოქტომბერს „გადასახადების ადმინისტრირების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 31 დეკემბრის №996 ბრძანებით დამტკიცებულ ინსტრუქციაში შეტანილ იქნა ცვლილება და 92[1] მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტები ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„3. ამ თავით გათვალისწინებულ შემთხვევებში, როდესაც საგადასახადო ორგანოს წარმოეშვა უფლებამოსილება გადასახადის გადამხდელს დასაბეგრი ქონების ღირებულება განუსაზღვროს საბაზრო ფასით, საგადასახადო შემოწმებისას საგადასახადო ვალდებულება განისაზღვრება საბაზრო ფასით, თუ:

ა) დასაბეგრი ქონების საბაზრო ფასი აღემატება მის საბალანსო ღირებულებას;

ბ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ – „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აფასების შედეგად გამოანგარიშებული დასაბეგრი ქონების ღირებულება აღემატება ამ ქონების საბაზრო ფასს.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში საბაზრო ფასი არ გამოიყენება, თუ:

ა) დასაბეგრი ქონების საბაზრო ფასი არაუმეტეს 10%-ით აღემატება მის საბალანსო ღირებულებას;

ბ) საქართველოს საგადასახადო კოდექსის 202-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ – „დ“ ქვეპუნქტებით გათვალისწინებული აფასების შედეგად გამოანგარიშებული დასაბეგრი ქონების ღირებულება არაუმეტეს 10%-ით აღემატება ამ ქონების საბაზრო ფასს.

მაგალითი 1



Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

შემოწმებით დადგინდა, რომ გადასახადის გადამხდელს შესამოწმებელ პერიოდში ბალანსზე 100 000 ლარის საბალანსო ღირებულებით ერიცხება შენობა-ნაგებობა, რომელიც არ გადაფასებულა ბოლო 3 წლის განმავლობაში. პირს წარდგენილი აქვს შესაბამისი პერიოდის ქონების გადასახადის დეკლარაციები, რომელშიც ასახულია აღნიშნული ქონების შესახებ მონაცემები.

შეფასება:

ვინაიდან ქონება არ იყო გადაფასებული ბოლო 3 წლის განმავლობაში, საგადასახადო ორგანოს, ამ ინსტრუქციის 922 მუხლის „გ" ქვეპუნქტის გათვალისწინებით, უფლება აქვს საგადასახადო შემოწმებისას გადასახადის გადამხდელის ქონების ღირებულება განსაზღვროს საბაზრო ფასით, რომელმაც შეადგინა 110 000 ლარი.

ამასთან, ვინაიდან უძრავი ქონების საბაზრო ფასი მის საბალანსო ღირებულებას 10%-ით არ აღემატება (110 000-100 000)/110 000*100=9%), საგადასახადო ორგანოს მიერ დასაბეგრი ქონების მიმართ საბაზრო ფასის გამოყენება არ მოხდება.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის სრული ვერსია შეგიძლიათ იხილოთ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 200090000.22.033.017517

ბრძანება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.

## საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №579

2021 წლის 25 ოქტომბერს „ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს საქმიანობის ადმინისტრირებისა და მის მიერ პირთა მომსახურების კანონმდებლობით დადგენილისგან განსხვავებული დროებითი წესების განსაზღვრის შესახებ" საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 15 ივლისის №579 ბრძანებით დამტკიცებულ წესში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. პირველი მუხლის:

ა) პირველი პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„1. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს (შემდგომ – სააგენტო) სერვისები ხელმისაწვდომია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge-ს მეშვეობით.";



Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

ბ) მე-3 და 3[1] პუნქტები ამოღებულ იქნა.

2. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ამოღებულ იქნა

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040030000.22.027.017263

ბრძანება ამოქმედდა 25 ოქტომბრიდან.

## საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძნაება №580

2021 წლის 25 ოქტომბერს შეტანილ იქნა ცვლილება ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საქმიანობის ადმინისტრირებისა და მის მიერ პირთა მომსახურების კანონმდებლობით დადგენილისგან განსხვავებული დროებითი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 15 ივლისის №580 ბრძანების მე-2 მუხლში:

ა) მე-2 - მე-3 პუნქტები ამოღებულ იქნა;

ბ) მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„4. სააგენტო უფლებამოსილია საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – იუსტიციის სახლის/სააგენტოს ფილიალის მეშვეობით მომსახურება არ გაუწიოს იმ პირებს, რომლებიც იმყოფებიან თვითიზოლაციაში ან კარანტინში. სააგენტო უფლებამოსილია გაუწიოს მომსახურება თვითიზოლაციაში ან კარანტინში მყოფ პირებს საამისოდ მნიშვნელოვანი გადაუდებელი ინტერესის არსებობის შემთხვევებში, რისთვისაც გამოიყენებს ყველა შესაძლო ღონეს მომსახურების უსაფრთხოდ მისაწოდებლად.“;

გ) მე-5 პუნქტი ამოღებულ იქნა.

ზემოაღნიშნული ცვლილების დოკუმენტის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 040030000.22.027.017264

ბრძანება ამოქმედდა 25 ოქტომბრიდან.

## საქართველოს იუსტიციის მინისტრის ბრძანება №582



Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

2021 წლის 25 ოქტომბერს ახალი კორონავირუსის (COVID-19) გავრცელების პრევენციის მიზნით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს საქმიანობის ადმინისტრირებისა და მის მიერ პირთა მომსახურების კანონმდებლობით დადგენილისგან განსხვავებული დროებითი წესების განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2020 წლის 15 ივლისის №582 ბრძანებაში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილება:

1. მე-2 მუხლის:

ა) მე-6 პუნქტი ამოღებულ იქნა;

ბ) მე-7 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„7. სააღსრულებო წარმოების დაწყების მიზნით, „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით დადგენილი აღსრულების ქვემდებარე აქტებისა და ამავე კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის, აგრეთვე ნებისმიერი წარმოების (მათ შორის, სააღსრულებო წარმოება, გამარტივებული წარმოება, გადახდისუუნარობის საქმის წარმოება და სხვ.) ფარგლებში დოკუმენტაციის დედნის სახით მატერიალურად წარდგენა შესაძლებელია განხორციელდეს დაზღვეული ფოსტის გამოყენებითაც. ამ შემთხვევაში პირის იდენტიფიცირებისთვის აუცილებელია მიწოდებულ იქნეს კრედიტორის/განმცხადებლის ტელეფონის ნომერი, ელექტრონული ფოსტის მისამართი (რომლის მეშვეობით განხორციელდება შემდგომი დოკუმენტაციის/ინფორმაციის მიღება/გაცემა), პირადობის მოწმობის ასლი, ხოლო თანხის გადახდევინებასთან დაკავშირებულ სააღსრულებო საქმეებსა და გამარტივებული წარმოების საქმეებზე ასევე საბანკო დაწესებულების მიერ გაცემული საბანკო რეკვიზიტი. საჭიროების შემთხვევაში, გადამოწმდება ინფორმაციის სისწორე და კრედიტორისადმი/განმცხადებლისადმი კუთვნილება.“.

2. მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„2. სააღსრულებო წარმოების დაწყების მიზნით კერძო აღმასრულებელთან ხელშეკრულების დადება, აგრეთვე „სააღსრულებო წარმოებათა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით დადგენილი აღსრულების ქვემდებარე აქტებისა და ამავე კანონის 25-ე მუხლით გათვალისწინებული დოკუმენტაციის წარდგენა შესაძლებელია ელექტრონული ფორმითაც, კერძო აღმასრულებლის ელექტრონული ფოსტის საშუალებით.“.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების დოკუმენტის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 070010010.22.027.017265

ბრძანება ამოქმედდა 25 ოქტომბრიდან.



Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge

## საქართველოს მთავრობის დადგენილება №98

2021 წლი 1 ოქტომბერს „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის ლიცენზიის გაცემის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 12 აპრილის №98 დადგენილებაში შეტანილ იქნა ცვლილება და:

1. მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდა შემდეგი რედაქციით:

„3. აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ლიცენზიას გასცემს „სასარგებლო წიაღისეულით სარგებლობის ლიცენზიის გაცემის მიზნით აუქციონის გამართვის, ლიცენზიის გაცემის საწყისი ფასის განსაზღვრისა და ანგარიშსწორების წესის შესახებ დებულების დამტკიცების თაობაზე“ სსიპ – წიაღის ეროვნული სააგენტოს უფროსის 2018 წლის 1 მაისის №2 ბრძანებით დამტკიცებული წესის შესაბამისად.“.

2. დადგენილებით დამტკიცებული დანართი – „აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს მიერ სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიით გასაცემ საშენ მასალათა ნუსხა“ ამოღებულ იქნა.

ზემოაღნიშნული დოკუმენტის ცვლილების დოკუმენტის ხილვა შეგიძლიათ ბმულზე: https://matsne.gov.ge სარეგისტრაციო კოდით: 010340000.10.003.023042

დადგენილება ამოქმედდა გამოქვეყნებისთანავე.



Legal Consulting Center LLC
Add.: N22 Melashvili Str.,. Batumi, Georgia
N106 Beliashvili Str.. Tbilisi, Georgia
ID: 445392227
www.legalconsulting.ge
info@legalconsulting.ge